



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be "N. Kachibadze", written over a horizontal dashed line.

ნოე ქაშიბაძე

01 ივნისი 2015 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N11/129

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	6
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები.....	10

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს¹ (შემდეგში “სამინისტრო”) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №5, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული

¹ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განხორციელდა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკისა და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა სამინისტროების ლიკვიდაცია და შეიქმნა მათი უფლებამონაცვლე - აფხაზეთის ა/რ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ფუნქციონირებს 2014 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, 2014 წლის 16 იანვრის და 17 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე აფხაზეთის ა/რ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ მთავრობის 29.11.2013 წ. №9 განკარგულებით შექმნილი სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადმოეცა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროების ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონება.

რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს უზუსტოდ და არასრულად ჰქონდა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

არაფინანსური აქტივები

- ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით (საჯარო რეესტრის ამონაწერების ანალიზით, უშუალოდ სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით) დადგინდა, რომ სამინისტროს 2014 წლის 16 იანვრის და 17 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე აფხაზეთის ა/რ მთავრობის 29.11.2013 წ. N9 განკარგულებით შექმნილი სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადმოეცა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროების ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, რომელიც ზემოაღნიშნულ სამინისტროებს სარგებლობის უფლებით მიღებული ჰქონდათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან). კერძოდ, ეს იყო მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობების ფართები:

N	საკადასტრო კოდი და რეგისტრაციის თარიღი	მისამართი	ზომის ერთეული	ფართობი
1	01.20.01.104.068 06.06.2011 წ.	მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1, დაბა წყნეთი	კვ.მ	559
2	01.17.12.016.015 21.06.2011 წ.	ქ. თბილისი მეველის N17-ში მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები N1,N2,N3	კვ.მ	2369
3	43.10.06.036 16.05.2014 წ.	ზუგდიდის რ-ნი, სოფ. რუხში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	კვ.მ	3217588

4	43.09.03.240 16.05.2014 წ.	ზუგდიდის რ-ნი, სოფ. რიყეში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი,	კვ.მ	95081
5	01.10.16.003.001.01.506 24.06.2010 წ.	თამარაშვილის ქუჩა N15,,ა“ სარდაფის სართული	კვ.მ	978.64
6	01.10.16.003.001.01.507 26.02.2013 წ. განცხ.N882014566413	თამარაშვილის ქუჩა N15,,ა“ პირველი სართული	კვ.მ	5.06

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები (შენობა-ნაგებობების ფართები), სამინისტროს საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) თანხობრივად (ღირებულებით)² არ აღრიცხულა, რის შედეგად არსებითი ცდომილებით შემცირდა რეალურად არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულება (სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისისათვის ბალანსში არაფინანსური აქტივების განსაზღვრული კატეგორიების ღირებულებაზე არ იყო დამატებული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების განხორციელების შედეგად ამ კატეგორიებში მიღებული აქტივების მთლიანი ღირებულება); აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობია, ვინაიდან ქონების გადმოცემის ადმინისტრაციულ აქტებში (სალიკვიდაციო კომისიის მასალები, მიღება-ჩაბარების აქტები, და სხვა) არ მითითებულა მათი საბალანსო ღირებულება და არც შესაბამისი წესით მომხდარა მათი დადგენა³;

- არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით 4,720.00 ლარის ღირებულების ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამული სისტემის განახლების შესყიდვა, რასაც რეალურად გავლენა ჰქონდა არამატერიალურ აქტივზე და იწვევდა მისი ღირებულების ზრდას, არასწორად იყო განხორციელებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხაჯები“-ს მუხლიდან და არ მიკუთვნებულა (აღრიცხულა) სამინისტროს ბალანსის მუხლში - „სხვა ძირითადი აქტივები“. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის შესწავლით, ვინაიდან მოცემული შესყიდვა პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებას იწვევდა უნდა აღრიცხულიყო როგორც „არამატერიალური ძირითადი აქტივები“. შესაბამისად 2014 წლის ბოლოს სხვა ძირითადი აქტივების საბალანსო მუხლი, შემცირდა 4,720.00 ლარით; ამავდროულად ამ თანხის ოდენობით არასწორად იქნა გაზრდილი საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლი „საქონელი და მომსახურება“ და შემცირდა საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“⁴.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, 24-ე მუხლის მე-15 და მე-19 პუნქტები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია (სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები (311322))

- აუდიტით დადგინდა, რომ 13,050.70 ლარის პირველადი ღირებულების ძირითად აქტივებზე (მათ შორის 4,720.00 ლარის ღირებულების არამატერიალურ აქტივზე) წლის ბოლოს არ დარიცხულა ცვეთა და/ან გაანგარიშებისას გამოყენებული იყო არაშესაბამისი ამორტიზაციის წლიური ნორმა. აღნიშნულის შედეგად 2014 წლის ბოლოს ბალანსის „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ და „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლები ერთ შემთხვევაში არასწორად იქნა შემცირებული 472.00 ლარით, ხოლო 15 შემთხვევაში გაიზარდა 802.40 ლარით⁵.
- სხვა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 33 ერთეული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის ზედმეტობა. ვინაიდან მოცემული აქტივების ფასები უცნობი იყო, ისინი შეტანილი იქნა საინვენტარო აღწერაში ღირებულებების გარეშე;
- ფინანსური ანგარიშგების ფ N1-ში „არაფინანსური აქტივები“ წლის ბოლოს ნაშთების ჯამი შეადგენდა 1 854 263.55 ლარს, რაც არსებითად (1 643 672.92 ლარით) ნაკლები იყო ბალანსის დანართი ფ N5-ში წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების ნაშთების ჯამზე - 3 497 936.47 ლარზე. ამასთან, 1 606 114.92 ლარის შეუსაბამოები დაფიქსირდა ფ N1-ში შენობა-ნაგებობების ჯამურ ნაშთებს (1 803 089.82 ლარი) და ფN5-ში წარმოდგენილ შენობა-ნაგებობების ჯამურ ნაშთებს (3 409 204.74 ლარი) შორის. აღნიშნული უზუსტობა (შეცდომა) დადასტურდა სამინისტროს საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციითაც.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, სამინისტროს 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება, არ შეესაბამება "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების მოთხოვნებს, არაა წარმოდგენილი უტყუარად და სწორად ვერ ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების პარაგრაფში წარმოდგენილი გარემოებების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2002 წლის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-3 მუხლი და მე-7 მუხლი.

უძრავი ქონების განკარგვა

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით - საჯარო რეესტრის ამონაწერების ანალიზით, უშუალოდ სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით დადგინდა, რომ სამინისტროსათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემული შენობა-ნაგებობის ფართობსა და მიწის ნაკვეთებზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის - სამინისტროს შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ,⁶ აუდიტის პერიოდში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ-ები) და აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კერძოდ:

- ქ. თბილისი, თამარაშვილის N15^ა-ში არსებული შენობა-ნაგებობის მესამე სართულის 79.65 მ² ფართზე განთავსებული იყო ორი სსიპ-ი (სსიპ - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი და სსიპ - აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო)⁷;
- დაბა წყნეთში არსებულ 599 მ² მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო შპს „იძულებით გადაადგილებულ პირთა წყნეთის პოლიკლინიკა“ - საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“.

აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 16.03.2012 წ. N01/44 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს „ავტოტრანსსერვისს“ დაეკისრა ქ. თბილისის მეველის ქ. 17-ში მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (2,369.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობები N1,N2,N3) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა-შენახვა და კომუნალური გადასახადების გადახდა. როგორც გაირკვა, შპს „ავტოტრანსსერვისმა“ 2014 წელს სამინისტროს შესაბამისი წერილების (თანხმობების) საფუძველზე განახორციელა სხვადასხვა სამუშაოები, რაც გულისხმობდა ავტოსამრეცხაოს და ბლოკის საამქროს მოწყობას; შენობა-ნაგებობა N1-ის გადახურვით სამუშაოებს და მარჯვენა და წინა კედლების აშენებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „ავტოტრანსსერვისი“ ზემოაღნიშნულ ქონებას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იყენებდა სამეწარმეო (კომერციულ) საქმიანობისათვის. კერძოდ, სახელმწიფო შენობა-ნაგებობები იჯარით (ქირით) ჰქონდა გადაცემული სხვადასხვა იურიდიულ (ფიზიკურ) პირებზე და მოქმედი კანონმდებლობის⁸ მიხედვით არ აწარმოებდა საბაზრო ღირებულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადახდას.

⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 35-ე მუხლი მე-3 და მე-8 პუნქტები და 36-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს მთავრობის 01.10.2010წ.დადგენილება N302 „სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი მე-4, პუნქტი პირველი.

⁷ აფხაზეთის ა/რ მთავრობის 16.04.2014 წ. N27 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“; აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს 11.07.2005 წ. N137 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“.

⁸ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1 და 1³ პუნქტი, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროსათვის სარგებლობაში გადმოცემული მიწის ნაკვეთების გამოყენებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობა არასაკმარისი იყო, ვინაიდან აუდიტის პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი აღნიშნული მიწების სრულად (დანიშნულებით) გამოყენება. კერძოდ, სამინისტრომ 2014 წლის 28 იანვარს N71 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მგრადი განვითარების სამინისტროს, რათა სამეგრელო-ზემო სვანეთის ზუგდიდის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაციაში გატარებული მდ. ენგურის მარცხენა სანაპირო, რიყესა და რუხის საკრებულოს ტერიტორიაზე გალის რ-ნის სოფლების ჭუბურხინჯისა და დიხაზურგას სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 349,6 ჰა (საკადასტრო კოდი N431006036; N430902399; N430903240) სარგებლობაში გადაცემოდა სამინისტროს. ამასთან, არგუმენტად მოყვანილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (რომელთა დიდი კონტინგენტი განთავსებულია სამეგრელოს რეგიონში) დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შემუშავებული 7 ბიზნესპროექტი (რაც მოწონებული იქნა „გამყოფი ხაზის მდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის“ მიერ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის მაისში სამინისტროს გადაეცა სარგებლობაში მიწის ნაკვეთები: სოფ. რუხში არასასოფლო-სამეურნეო 321,76 ჰა, ხოლო სოფ. რიყეში არასასოფლო-სამეურნეო 95,08 ჰა და 18,58 ჰა. თუმცა აუდიტის პერიოდში (სამინისტროს ინფორმაციით) ზემოაღნიშნული მიწები ძირითადად დატვირთული არ ყოფილა და არცერთი ბიზნესპროექტი არ განხორციელებულა (დაწყებულია). პირიქით, ნაცვლად ბიზნესპროექტების განხორციელებისა, რომლებსაც დასახული გეგმით უნდა მოეხდინა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, 2014 წლის მაისშივე (განცხ. N 882014243400, 13.05.2014) მოხდა სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ცენტრი, ბიზნეს-ინკუბატორ“-ზე სოფ. რიყეში მდებარე 18,58 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გადაცემა, რომელიც აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2,800 ლარით სსიპ-ის მიერ (რაც მის ფუნქციებში საერთოდ არ შედიოდა) მოიხნა, დაიფარცხა და გამოყენებული იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. რაც შეეხება სოფ. რუხსა და სოფ. რიყეში დარჩენილ მიწის ნაკვეთებს, აღნიშნულ მიწებთან დაკავშირებით მოხერხდა მხოლოდ ის, რომ 2014 წლის 1 სექტემბერს სამინისტროსა და შპს „Promer Ltd“-ს შორის გაფორმდა „ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი“, რომლის მიხედვითაც მხარეებმა გამოთქვეს ურთიერთანამშრომლობის სურვილი, რაც გულისხმობს იმას, რომ შპს „Promer Ltd“ მომავალში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების აღების შემდეგ, განხორციელებს გეოლოგიურ და ყველა სხვა საჭირო კვლევებს, წარმოადგენს საინვესტიციო პროექტს ქვა-ლორდის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით და დაასაქმებს დევნილებს.

მოდრავი ქონების განკარგვა

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის (მინისტრის) 08.04.2014 წლის № 03/67 ბრძანების შესაბამისად შპს „ავტოტრანსსერვის“ საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად გადაეცა სამინისტროს ბალანსზე რიცხული (ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე) 42 534.75 ლარის ნარჩენი ღირებულების 13 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

როგორც გაირკვა, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენდა განსაკარგავად გადასაცემ მოძრავ ქონებას, რომელიც ასახული იყო სამინისტროს პირველი კვარტლის ბალანსში (საცნობარო მუხლში). შპს „ავტოტრანსსერვისმა“ მოახდინა 2014 წლის 10 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების (11 ერთეულის) რეალიზაცია 31,794.00 ლარად და რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხები სრულად გამოიყენა შპს „ავტოტრანსსერვისის“ მიზნებისათვის. ამასთან, თანხების გამოყენებასთან დაკავშირებით, სამინისტროს 4 წერილობითი თანხმობა გაცემული იქნა მხოლოდ 17,033.00 ლარის ხარჯვაზე.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბმანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2014 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 27 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 94,333.25 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 5 პირი აყვანილი იყო მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მათზე ანაზღაურდა (თვეში 600-700 ლარი), სულ 33,182.00 ლარი⁹.

პრემიები

მინისტრის ბრძანებების საფუძველზე 17 შემთხვევაში გაიცა პრემიები (მათ შორის: მინისტრის მოადგილეზე, მინისტრის აპარატის უფროსზე, დეპარტამენტების უფროსებზე, სამსახურის უფროსზე, დეპარტამენტების უფროსის მოადგილეზე, სამმართველოს უფროსებზე, შტატგარეშე მოსამსახურეებზე, მინისტრის მთავარ მრჩეველებზე, მინისტრის თანაშემწეზე, მინისტრის მძღოლზე) სულ 18,670.00 ლარის ოდენობით. გაცემულ პრემიებთან დაკავშირებით შესაბამისი ინიცირებები/დასაბუთებები პრემიების გაცემაზე წარმოდგენილი არ ყოფილა¹⁰.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

უფროსი აუდიტორი

01 ივნისი 2015 წელი



გიორგი ფრუიძე

ბონდო გასვიანი

⁹ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

¹⁰ საქართველოს მთავრობის 15.07.2014 წლის N449 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები; აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება 18.09.2014წ. N39 „აფხაზეთის ა/რ-ის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ჩაბარების ვადა

16 იანვარი

ჩაბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი



კოდი	აქტივები	აგრომის ნიმუში	ნათი წლის დასაწყისისათვის	ნათი წლის დასასრულისათვის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		1643672.92
310	ასფალტის დანაკლისები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330		1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
410	მეწიხე-ნაგებობები	2110		1803089.82
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120		44121.73
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130		7052.00
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასიულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400		
	მაღალმა			3497936.47

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (ვერტის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მოშახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღე	3242		
540	გადასახდელი სამუშაოსათვის გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები მოგებისათვის მოსაკრებელი ხელფასების დარიცხვით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მოშახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100		3497936.47
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	საკონსოლიდებული მოგება	5220		
780	დაუფარავი "ზარალი"	5230		
	ზალანსი			3497936.47
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
800	მასშტაბზე შენახვადი მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუნარიან ფიზიკური პირების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი შარავები ექსპლუატაციაში	04		
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		119710.73
870	გადახდადებული ძირითადი აქტივები	09		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი	10		61994.34
890	განსაკუთრებულ გადასაცემი მოძრავი ქონება	11		6138

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი მუხალტერი:

პ.ა.

გადახდილი სტრუქტურის მონაცემები აკლდება ზალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს

ბიუჯეტ-მეცხვის ხარჯები										
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკური მანქანების შეძენის ხარჯები	229								
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	500	7200	7035.58	7035.58	7035.58	7035.58	34167.25	34167.25
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23								
270	1.4 პროცენტი	24								
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241								
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411								
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412								
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413								
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414								
330	1.4.2 საშიშროებათა ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა	242								
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული სამსახურისა და სხვა	243								
350	1.5 სუბსიდიები	25		2800	2800	2800	2800	2800	2800	
360	1.6 გრანტები	26								
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261								
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611								
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612								
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262								
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621								
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622								
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263								
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631								
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632								
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	3430	5969	5881.95	5881.95	5881.95	5881.95	5881.95	
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271								
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711								
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712								
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272								
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721								

520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3. დამატარებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	3430	5969	5881.95	5881.95	5881.95	5881.95	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	3430	5969	5881.95	5881.95	5881.95	5881.95	
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროექტისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვეო პოლისის მეფლობელებზე ვრცელდება	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282							
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821							
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მამულებზე რიცხოვნობის შესახებ									
მ ა რ ე ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა		ზღვრებით		ფაქტურად*		ზღვრებით		ფაქტურად*	
		64		64		13			
1. შტატით მომსახურება რიცხოვნობა									
2. შტატგარეშე მამულებზე რიცხოვნობა									

ფაქტურად დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გათვალისწინებულია საანგარიშებში პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებული პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით განგარიშებული დასაქმებული პირთა საშუალო რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურული კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	სტრუქტურული კოდი	დაამტკიცებულ მნიშვნელობა	დაამტკიცებულ მნიშვნელობა	დაამტკიცებულ მნიშვნელობა	დაამტკიცებულ მნიშვნელობა	დაამტკიცებულ მნიშვნელობა
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	6000	12446	12357.98	12357.98	12357.98
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	6000	12446	12357.98	12357.98	12357.98
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალური	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	6000	12446	12357.98	12357.98	12357.98
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121		1010	1010	1010	1010

170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		31122	6000	11436	11347.98	11347.98
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები		3113				
190	1.1.3.1 კულტურულ-მემორიალური აქტივები		31131				
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები		31132				
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები		311321				
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები		311322				
230	1.2 მატერიალური მარაგები		312				
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები		3121				
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები		3122				
260	1.2.2.1 შედარებით ხანგრძლივი მასალები		31221				
270	1.2.2.2 დაუძვრად დარჩენილი ნარჩენები		31222				
280	1.2.2.3 შპს პროდუქცია		31223				
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი		31224				
300	1.3 ფასეულობები		313				
310	1.4 არაწარმოებული აქტივები		314				
320	1.4.1 მიწა		3141				
330	1.4.2 წიაღისეული		3142				
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები		3143				
350	1.4.3.1 რაოდენობით სპეცირებული სარგებლობის ლიცენზია		31431				
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები		31432				
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები		3144				

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

[Handwritten signature]



ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

გეოგრაფიული მდებარეობა, კვარტალური

200 წლის

თვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურული კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	სტრუქტურული კოდი	დატვირთვით	დატვირთვით	დატვირთვით	დატვირთვით	დატვირთვით
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32					
020	1.1 სამონეტო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	321.2					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	321.3					
050	1.1.3 სესხები	321.4					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	321.5					
070	1.1.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	321.6					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	321.7					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	321.8					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	322.2					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	322.3					
130	1.2.3 სესხები	322.4					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	322.5					
150	1.2.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	322.6					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	322.7					

170	1.2.7 სხვა დეპიტორული დავალიანებები						3328
180	1.3 მინერალური ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება						3323
190	2. ვალდებულებები						33
200	2.1 საშინაო						331 *
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები						3312
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა						3313
230	2.1.3 სესხები						3314
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)						3315
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები						3316
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						3317
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები						3318
280	2.2 საგარეო						332
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები						3322
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა						3323
310	2.2.3 სესხები						3324
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)						3325
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები						3326
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						3327
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები						3328

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მოგვარი ბუღალტერი:

№ 3



[Handwritten signature]

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის არა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი

თიანის ერთეული ლარი

ბუქსოვდულისა: წლოვრი, კვირბადური 2015 წლის 1 იანვრისათვის

ანგარიშის №	დუბები	ფულა	ანგარიშის №	კრედიტი	ფულა
7100	ნაბიო წლის დასაწყისისათვის	778226.00	4100	ნაბიო წლის დასაწყისისათვის	0
	მიმუშავებია ანაზღაურება			ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1027611.32
7200	საქონელი და მომსახურება	228345.39	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დოფინანსება პეხიებისა და დახმარების სასაფხად	
7300	ძირითადი კაპიტალის მომართება	34728.54	6000	შემოსავლები	
7310		34167.25	6300		მ.მ. გრანტები
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები	2800			
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	5881.95			
7800	სხვა ხარჯები				
	აქტივების უსასყიდლოდ გახვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ შესასყიდლოდ მიღება	3515.03		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გახვლა	3523872.06
1300-1400			1300-1400		
3000			3000		
1600-2000		3515.03	1600-2000		3523872.06
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკანო მუქარულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დაირიებული ვალდებულებები *				
	სადებეტიო ბრუნვა	1053496.91		საქრედიტო ბრუნვა	4551433.38
	სულ ჯამი: **	1053496.91		სულ ჯამი: ***	4551433.38
	ნაბიო პერიოდის ბილოს			ნაბიო პერიოდის ბილოს	3497936.47

* აღნიშნულ ბილიტებზე აღიარება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტიო ნაბიოს წლის დასაწყისისათვის უბეება სადებეტიო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაბიოს წლის დასაწყისისათვის უბეება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

სადავო ზედალტვი

მ.მ.



[Handwritten signature]

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება _____

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური 20--წლის ----- თვის

ზომის ერთეული:ლარი

სტრუქტურული სკოდი	დასახელება	გვერდი	სავსო	ფაქტური
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების წამით წლის დასაწყისისთვის			
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის წამით წლის დასაწყისისთვის			
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები			
050	სააგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით			
060	გადასახადები			
070	გრანტები			
080	სხვა შემოსავლები			
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
100	ბ) საჭიროება და მომსახურების რეალიზაცია			
110	გ) სამეცნიერო, კვლევითი, სასწავლო			
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანზაქციები, გრანტების გარდა			
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
140	შემოსულობები			
150	არაფინანსური აქტივების კლება			
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა			
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები			
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21		
230	1.2. საჭიროები და მომსახურება	22		
240	1.3. ძირითადი, გათვალისწინებული	23		
250	1.4. პროცენტი	24		
260	1.5. სესხები	25		
270	1.6. გრანტები	26		
280	1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27		
290	1.8. სხვა ხარჯები	28		
300	გადასახდელები			
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		
320	2.1. ძირითადი აქტივები	311		
330	2.2. მატერიალური მარაგები	312		
340	2.3. ფასეულობები	313		
350	2.4. არაფინანსური აქტივები	314		
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32		
370	3.1. სამონაო	321		
380	3.2. საგარეო	322		
390	4. ვალდებულებების კლება	33		
400	4.1. სამონაო	331		
410	4.2. საგარეო	332		
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332		
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
440	არასაოპერაციო შემოსავლები			
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
480	ვალდებულებების გადაკლება			
490	არასაოპერაციო ხარჯები			
500	კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი			
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
530	ვალდებულებების მიღება			
540	მოგების გადასახადი			
550	წამით წლის (კვარტალის) ბოლოს			



ბალანსის დამართი ფორმა # 4-1

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

კოდი

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

20--წლის ----- თვის

ზომის ერთეული: ლარი

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გვერდი	საკასო	ფაქტური
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.შ მიღებული თანხა					
3 მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.შ უკანასკნელი მარიცხვა					

1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში			
2	მიმდინარე წლის მოცულობა			
3	სულ (1+2)			
4	ხარჯები			
5	შრომის ანაზღაურება			
6	საჭიშველი და მომსახურება			
7	პროცენტი			
8	სუბსიდიები			
9	გრანტები			
10	სოციალური უზრუნველყოფა			
11	სხვა ხარჯები			
12	არაფინანსური აქტივების ზრდა			
13	ფინანსური აქტივების ზრდა			
14	ვალდებულებების კლება			
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა			
16	ბიუჯეტის წინაშე ვალდებული გრანტის თანხით			

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.პ.



ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: _____ კოდი: _____

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური _____ 200 წლის _____ იანვრის _____ ზომის ერთეული: ლარი

	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებულები (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებულები (8200)
010	ფინანსური აქტივები				
020	ვალუტა დეპოზიტები				
030	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
040	სესხები				
050	აქციები და სხვა კაპიტალი				
060	სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	მონეტარული ოქრო და ნასესხიების სპეციალური უფლება				
100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

შენიშვნა - სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშების (8100 - 8200) მოკორექტირებული ანგარიშები 010-170 სტრიქონებში მითითებული მუხლების შესაბამისი ანგარიშები და ფორმა ივსება ისე, როგორც ბრუნვაზე უწყობა

ორგანიზაციის დასახელება: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

მ.ა.



[illegible]

360	2.2.2 სხვა შემოსავლები და გადასახადო	0.00	11347.98	30088.55	878.08	3515.03				10724.05	28223.45
370	2.3 სხვა ძირითადი შემოსევები	0.00		9014.00						1964.00	7052.00
380	2.3.1 ძირითადი შემოსევები										0.00
390	2.3.2 არაძირითადი შემოსევები	0.00		9014.00						1964.00	7052.00
400	2.4 დანართები										0.00
410	2.4.1 დანართები										0.00
420	2.4.2 დანართები										0.00
430	2.4.3 დანართები										0.00
440	2.4.4 დანართები										0.00
450	2.4.5 დანართები										0.00
460	2.4.6 დანართები										0.00
470	2.4.7 დანართები										0.00
480	2.4.8 დანართები										0.00
490	2.4.9 დანართები										0.00
500	2.4.10 დანართები										0.00
510	2.4.11 დანართები										0.00
520	2.4.12 დანართები										0.00
530	2.4.13 დანართები										0.00
540	2.4.14 დანართები										0.00
550	2.4.15 დანართები										0.00
560	2.4.16 დანართები										0.00
570	2.4.17 დანართები										0.00
580	2.4.18 დანართები										0.00
590	2.4.19 დანართები										0.00
600	2.4.20 დანართები										0.00
610	2.4.21 დანართები										0.00
620	2.4.22 დანართები										0.00
630	2.4.23 დანართები										0.00
640	2.4.24 დანართები										0.00
650	2.4.25 დანართები										0.00
660	2.4.26 დანართები										0.00
670	2.4.27 დანართები										0.00
680	2.4.28 დანართები										0.00
690	2.4.29 დანართები										0.00
700	2.4.30 დანართები										0.00
710	2.4.31 დანართები										0.00
720	2.4.32 დანართები										0.00
730	2.4.33 დანართები										0.00
740	2.4.34 დანართები										0.00
750	2.4.35 დანართები										0.00
760	2.4.36 დანართები										0.00
770	2.4.37 დანართები										0.00
780	2.4.38 დანართები										0.00
790	2.4.39 დანართები										0.00
800	2.4.40 დანართები										0.00
810	2.4.41 დანართები										0.00
820	2.4.42 დანართები										0.00
830	2.4.43 დანართები										0.00
840	2.4.44 დანართები										0.00
850	2.4.45 დანართები										0.00
860	2.4.46 დანართები										0.00
870	2.4.47 დანართები										0.00
880	2.4.48 დანართები										0.00
890	2.4.49 დანართები										0.00
900	2.4.50 დანართები										0.00
910	2.4.51 დანართები										0.00
920	2.4.52 დანართები										0.00
930	2.4.53 დანართები										0.00
940	2.4.54 დანართები										0.00
950	2.4.55 დანართები										0.00
960	2.4.56 დანართები										0.00
970	2.4.57 დანართები										0.00
980	2.4.58 დანართები										0.00
990	2.4.59 დანართები										0.00
1000	2.4.60 დანართები										0.00

აღივსებადია შემოსულის მიერ. აღივსებადია შემოსულის მიერ. აღივსებადია შემოსულის მიერ. აღივსებადია შემოსულის მიერ.

[Handwritten signature]



ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის 1 იანვრისათვის

კოდი

თიბის ერთეული: ლარი, ცალი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	სამეგრეოში პერიოდის დასახელება	სამეგრეოში პერიოდში მიღება				სამეგრეოში პერიოდში გასცდა				სამეგრეოში პერიოდში გაჩენილი ხარჯი (საკაპო)					სამეგრეოში პერიოდში გაჩენილი ხარჯი (ფაქტური)			
		მუქება	სხვა სახით მიღება	მქალაქიდან გასცდა	სხვა სახით გასცდა	სულ ხარჯი	მ.შ. მუქება	მ.შ. საწვავი	მ.შ. დარიცხვ	სულ ხარჯი	მ.შ. მუქება	მ.შ. საწვავი	მ.შ. დარიცხვ					
1	სამეგრეოში პერიოდის დასახელება																	
1.1	მთლიანი			1010	2	16775.28				24264.42	740.40	14980.02	4814.00	24264.42	740.40	14980.02	4814.00	
1.2	გადახდილი																	
1.3	სამეგრეოში პერიოდში დასახელება																	
1.4	მთლიანი																	

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ხელმძღვანელი:



[Handwritten signature]